



Attunement and the Care of the Soul: *Pythagorean insights into unity, polarity, and synthesis.*

by Dr. hc. David Boadella

Translator: Natia Maziashvili

ჰარმონიულობა და სულის განკურვნა პითაგორეანული ინსაიტები: დევიდ ბოადელლა

ტერმინი ფსიქოთერაპია მოდერნულ კონტექსტში პირველად გამოყენებულ იქნა გასული საუკუნის ბოლოს ჰიპპოკრატე ბერნჰეიმის მიერ. მაგრამ ფსიქოთერაპიულმა ხაზმა სათავე ბევრად უფრო ადრე აიღო, ევროპული ცივილიზაციიდან, მაშინ, როდესაც ფსიქოთერაპია პირდაპირი მნიშვნელობით გულისხმობდა სულის განკურნებას.

ადრეულ ევროპულ ფილოსოფიაში, როდესაც ფსიქოთერაპია ფილოსოფიის შემდგენელი ნაწილი იყო, სული და სხეული აღქმებოდა როგორც ურთიერთდამოკიდებული ნაწილები, ადამიანის არსებობა იყო ბუნების მაკროკოსმოსის ნაწილი.

პირველად ტერმინები ფილოსოფია, თერაპია და კოსმოსი პითაგორამ გამოიყენა. პითაგორას გავლენა ჰუმანურ კულტურაში ნათლად აღწერა არტურ კოესტლერმა. კოესტლერი იყო ჰოლისტი, ბიოლოგი და ფსიქოლოგი, რომელიც კვლევებს ატარებდა პარა-ფსიქოლოგიაშიც. კოესტლერი ასევე იყო ისტორიკოსი და მისი კვლევები პითაგორას შესახებ აღებული აქვს კლასიკური ნაშრომებიდან, გალილეოსა და კეპლერის დროიდან მოყოლებული.

კოესტლერი იყენებს სიტყვა „ჰოლონს“ იმ პროცესების აღსაწერად, რომლებიც ერთდროულად მთლიანსაც ნიშნავს და თან ნაწილობრივსაც. მისი ეს ნაშრომი შთაგონების წყაროდ იქცა კენ ვილბერის ფილოსოფიისთვის, რომელმაც აღნიშნული შრომები გამოიყენა თავის ტრილოგიაში - ეროსი, კოსმოსი და ლოგოსი.

ჰოლიზმი და დუალიზმი

პითაგორას გაგებით კოსმოსი არის ერთი მთლიანობა, სადაც ყველაფერი ურთიერთკავშირშია. სხეული და სული არ იყო გაყოფილი ერთმანეთისგან, მეცნიერება და რელიგია იყო ორი გზა ერთი რეალობის გასარკვევად. ადამიანურობა და ცხოველური სიცოცხლე გაგებული იყო ერთნაირი მარტივი ეთიკური პრინციპებით.

პითაგორას თვითონ არაფერი დაუწერია. მისი სწავლებები აღწერეს მისმა მოსწავლეებმა მისი გარადცვალების შემდეგ. მნიშვნელოვანი ინსაიტები გამოიყენეს პლატონმა და პითაგორამ, რომლებმაც დაწერეს მრავალტომიანი წიგნები, რომლებიც აღწერილი იყო როგორც ორი ტყუპი ვარსკვლავის ფილოსოფია. სამწუხაროდ პლატონის ნასესხები პითაგორასგან არის უღიარებელი ან მოხვეულია თავს კონსერვატიული პოლიტიკური და დუალისტური განყენებები.

ანდრეა ვეჰოვსკიმ თავის მნიშვნელოვან სტატიაში „ჩამოყალიბება და აღმოჩენა“- აღწერა 4 ბაზისური შეხედულება სამყაროზე. მატერიალური ან იდეალისტური მონიზმი, დუალიზმი, მონოდუალიზმი და მეოთხე, რომელსაც მე ვუწოდებ ჰოლიზმს. აღმოსავლური ცივილიზაციის ისტორიაში დომინირებდა დუალიზმი, რომელიც შეიქმნა ორი ძირითადი მონიზმის ვარიაციიდან.

ჰოლისტური შეხედულება, რომელსაც მე ვუწოდებ ბიოსპირიტუალს, იყო მინორული შეხედულება. პითაგორას მნიშვნელობა კოსტლერისთვის არის ის, რომ მან გაყოფა დუალიზმი ორ ნაწილად, როგორც უბედური ქორწინების წყვილის შედეგი. ჩვენ მას ვხედავთ როგორც მაჟორულ ტრანსმოდერნულ მოაზროვნეს, რომელმაც ჩამოაყალიბა პრე-მოდერნული, მოდერნული და პოსტ-მოდერნული ბუნების გაგება და ჩვენი არსებობა მასში. ზოგიერთი კავშირი პითაგორას, პლატონსა და არისტოტელეს შორის შეგვიძლია ვიხილოთ ქვემოთ მოცემულ ჩამონათვალში.

კოსმოლოგია

პითაგორა : კოსმოსი არის ორგანული ერთიანობა იმ პატერნების, რომელიც შეიძლება იყოს სუბიექტური და ასევე ობიექტურად გამოკვლეული. ბუნების „ფიზისი“ არის ის, რომ ღრმა პატივისცემით უნდა ვეპყრობოდეთ ანიმა მუნდის - ანუ სამყაროს სულს.

პლატონი: კოსმოსი არის იერარქიული ადგილი, სადაც ობიექტური ბუნება არის იდეალური ფორმების ჩრდილები.

არისტოტელე: კოსმოსი არის შექმნილი იერარქია, სადაც ღმერთი არის უცვლელი, რომელიც ცვლის ყველაფერს და მთელი კოსმოსი გარკვეული პრინციპების მიხედვით მოქმედებს.

ასტრონომია

პითაგორა: პითაგორიანელებმა გამოიტანეს დასკვნა სამყაროს როტაციისა და რევოლუციის მეცნიერული ინსაიტები, რომლებიც დავიწყებული იყო 17 ათასი წლის მანძილზე.

პლატონი: ასტრონომია, როგორც სწავლის საგანი, არ არის მნიშვნელოვანი, მაგრამ ანიმა მუნდის იდეა აღებულია პითაგორეანელებისგან.

არისტოტელე: ასტრონომია დაფუძნებულია ცრუ ცნებაზე, რომ თითქოს დედამიწა არ მოძრაობას.

ბიოლოგია

პითაგორა: პითაგორიანელების ინსაიტები მოდის ჰოლისტიკური ტარდიციონალური საწყისიდან, რომელიც ეხება ჰიპოკრატეს მედიცინას. სხეული არის სულის ორგანო.

პლატონი: სხეული არის სულის სახე და უნდა იყოს ტრანსცენდენტური. ბიოლოგია არ არის მნიშვნელოვანი.

არისტოტელე: ორგანული ფორმები შეიძლება იქნეს შესწავლილი ემპირიულად. ბიოლოგიური პოცესები გამოწვეულია დირექტიული პატერნებით.

Free Article

ფსიქოლოგია

პითაგორა: სული დაყოფილია სამ მთავარ ნაწილად, რომლებსაც სჭირდებათ ყოფნა ჰარმონიულობასა და ბალანსში.

პლატონი: სული არის სხეულის წინამძღვარი, როგორც მხედარი ცხენისა.

არისტოტელე: სული არის სხეულის ფორმა.

სოციოლოგია

პითაგორა: ქალი და მამაკაცი თანაბარია. ძალის დომინირება ხალხს შორის უნდა იყოს მინიმალური. მონობა უნდა შეიცვალოს თავისუფლებით.

პლატონი: იდეალური სახელმწიფო არის ტოტალიტარული ფორმის. სამსახოვანი სული გამოყენებულია იმისთვის, რომ დაასაბუთოს კასტური სისტემის არსებობა.

არისტოტელე: ადამიანის არსებობა რაღაც მხრივ არის ბუნებრივად არათანაბარი.

ეთიკა

პითაგორა: ოქროს წესის სწავლება (ახსნილია ქვემოთ)

პლატონი: რაციონალური ეთიკა, რომელიც ახსნილი აქვს სოკრატეს, ზოგჯერ ილიბერალურია. მიზეზი არის უმაღლესი დონე. სამყაროს სული არის ემმაკისეული.

არისტოტელე: პრინციპული ოქროს წესი აღებულია პითაგორეანელებისგან. სელფ-რეალიზაცია არის უმაღლესი შედეგი.

სპირიტუალობა

პითაგორა: ბიოსპირიტუალური სწავლება გვაჩვენებს, რომ არსებობს არსებობის რამდენიმე დონე, რომელიც დაკავშირებულია შინაგან და გარეგან გამოცდილებასთან. ცხოვრება არ შეიძლება იქნეს განსაზღვრული მხოლოდ ფიზიკურად, მიუხედავად იმისა რომ ფიზიკური ძალიან მნიშვნელოვანია.

პლატონი: სული უკვდავია, ცხოვრება ამ სამყაროში კი პატიმრობაა.

არისტოტელე: სული კვდება სიკვდილთან ერთად, მაგრამ ზოგიერთი შეგრძნებები რაც არ არის ინდივიდუალური, ღმერთს მიაქვს.

„ხედვის ძალა და არსი“ დაწერა არტურ კოსტლერმა, სადაც ამბობს „ტყუილი თავისთავად შეიცავს ისეთ რაიმეს, რაც არის რელიგია და მეცნიერება, მათემატიკა და მუსიკა, მედიცინა და კოსმოლოგია, სხეული, აზროვნება და სული.“

კოსტლერი ხედავს პითაგორას როგორც აღმოსავლური კულტურის მთავარ ფიგურას, რომელზეც გავლენა მოახდინა ჯერ პლატონმა და შემდეგ არისტოტელემ.

არსებობის ფესვები და ელემენტები

ადრეულ ბერძნულ ფილოსოფოსებს ჰქონდათ აკვიატებული აზრები სამყაროს მატერიის შესახებ. პითაგორა რთულ ელემენტებსა და პატერნებს აკავშირებდა ერთმანეთთან, რაც ხდებოდა სამყაროში. სადაც ქსენოფონები წერდნენ რომ სამყაროში ყველაფერი გიბრუნდება უკან, სადაც ჰერაკლიდე ცეცხლს ხედავდა როგორც სამყაროს პირველსაწყისს, სადაც თალესი ბაზისად თვლიდა წყალს, ხოლო ანხიმენესი ჰაერს, პითაგორა- გეომეტრიას. ციფრი ოთხი ცნობილია როგორც ტეტრაკტისი, ან როგორც ქუატერნარი, მნიშვნელოვანი იყო სიმბოლური საწყისისთვის და ამომავალი წერტილი. ორიანი პოლარობის სიმბოლო იყო ხოლო სამი- ზედაპირის, ოთხი კი მყარი ფორმების.

პიტერ გორმანის კვლევებზე დაყრდნობით პითაგორას მიხედვით: რიცხვებს შეუძლიათ შექმნან სამყაროში წერტილები, შემდეგ ხაზი, სივრცე და საბოლოოდ სხეულები, რომლებიც შედგებიან სამი დიმენსიონალისგან. გორმანი აკომენტირებს: „უცნაური თეორიაა, როგორ შეუძლია, აბსტრაქტულ გეომეტრიულ მატერიებს შექმნან ფიზიკური სხეულები?“, თუმცა, სანიმუშო თეორია იქნა შემოუშავებული გერმანელი ფიზიკოსის

ბურხარდ ჰეიმის მიხედვით, რომელმაც ჩამოაყალიბა ფუნდამენტური მიზიდულობის თეორია რომელსაც უწოდა მეტრონი და ზუსტად, კონკრეტულად აღწერა ფიზიკური ძალების მნიშვნელობა და მონაწილეობა.

პითაგორას 4 რიცხვი ასოცირდებოდა 4 ელემენტთან: წყალი, ჰაერი, მიწა და ცეცხლი, რომლებიც ითვლება კოსმოსის საწყისად. ამ თემაზე ასევე იმუშავა ემპედოკლესმა და მისმა მიმდევარმა თალესმა. ციფრი 4ის მნიშვნელობა ასევე გამოიკვეთება ჩინურსა და ინდურ კულტურაშიც. თანამედროვე ფიზიკოსებს შეუძლიათ ამოიციონ მყარი, თხევადი, აირადი და ასევე ცეცხლოვანი ელემენტები, რომლებიც ელექტრო პლაზმაშია. ეს 4 თანამედროვე გაგება არის ის ენერგეტიკულ-მატერიალური ფორმები, რომელიც აღმოჩენილი იყო სამყაროში.

ტრიპარტიტული სული და სხეულის მორფოლოგია

ჰერაკლიდე, რომელიც იყო პლატონის მოსწავლე, გვეუბნება, რომ პლატონის ცნება სულის შესახებ მოდის პითაგორასგან. ეს ფაქტი მტკიცდება ასევე ბევრი ძველი ავტორებისგანაც. ფაქტია ის, რომ პლატონი იყო პითაგორას მე-9 მიმდევარი. პლატონის მოგზაურობის დროს, ქ.შ-მდე 387 წელს როდესაც ის ჩავიდა იტალიაში, კერძოდ კი სიცილიაში, ის შეხვდა ერთ-ერთ პითაგორას მიმდევარ არქიტასს რომელმაც მას მიჰყიდა სხვა იტალიელი მწერლის წიგნი პითაგორას მიხედვით. წიგნს ერქვა ბუნების „Peri Phyeon” .

როდესაც პლატონი დაბრუნდა ათენში, მან ჩამოაყალიბა აკადემია სადაც დაიწყო პითაგორას იდეების სწავლება, მათ შორის კი მოძღვრება სხეულის სულის შესახებ.

ის ასწავლიდა, რომ არსებობს სულის/ ფსიქეას მდგომარეობის სამი სახე:

- ინტელექტუალური ნაწილი
- მამაცი
- ვნებიანი

იმისათვის რომ ადამიანი იყოს ბედნიერი, სამივე ნაწილი უნდა იყოს კარგ ურთიერთკავშირში ერთმანეთთან,

პლატონმა სამასპექტს მიამატა მეოთხე-სხეული. სხეული განიხილებოდა როგორც სულის ორგანო. ტრიპარტიტული (სამისახის) სულისაჭირო იყო იმისათვის რომ მორფოლოგიურად გასაგები ყოფილიყო სხეულის არსი, რომელიც ასოცირდებოდა გონებასთან. ვნებიანი ნაწილი გულთან და გულმკერის ნაწილთან, ხოლო ემოციური (აპექტიტური) სულის ასპექტი კი მუცელთან. გენიტალები კი, როგორც სხეულის ენერჯის ორგანო, განიხილებოდა სხეულის მეოთხე ნაწილად ამ მორფოლოგიურ კვარტეტში.

სამწუხაროდ, პიტერ გომანის მიხედვით, პლატონმა უტრირებულად გამოიყენა პითაგორას თეორიები თავისი პოლიტიკური მიზნებისთვის. ამას შემდეგ კი ის ტრიპარტიტული სულის ცნებას იყენებს თავის ნაშრომში „სახელმწიფო“.

კენეთ გუთრი პითაგორისეულ თეორიაზე ამბობს შემდეგს: „ტყუილია, რომ ფსიქიკური

ჯანმრთელობა მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნეს მწყობრში თუ მხოლოდ ის სამი სული იქნება ერთმანეთთან ჰარმონიულობაში. ბალანსი იმით განიხილება თუ რომელ ნაწილს რა მიზანი აქვს. ფსიქიკური აშლილობა მაშინ იჩენს თავს, როდესაც სულის ნაწილი სხვა გზით მიდის. ამ დროს ფსიქიკა იყოფა, დისოციაციებად და ფრაგმენტებად, ფსიქიკური მთლიანობის საწინააღმდეგოდ.“

პითაგორას კონცეპტი კარგად აქვს შეჯამებული პლატონს როდესაც ის წერს, რომ საკუთარ თავთან სიმშვიდეში ყოფნა, სამივე ნაწილს აერთიანებს მუსიკალური ნოტებით, ყველაზე მაღალი ნოტი, ყველაზე დაბალი და მათ შუა ინტერვალი, როდესაც ყველა ნოტს შესაბამისად და სწორად აიღებ მაშინ ლამაზი ჟღერადობა ექნება.“ (სახელმწიფო).

პულსაცია და ტემპერამენტი

ხანგრძლივი სწავლის შემდეგ პითაგორა ეგვიპტიდან და ბაბილონიდან დაბრუნდა სამოსში, საკუთარ სახლში, და შემდეგ გადავიდა კროტონში, იტალიაში, დაახლოებით ჩწა.-მდე 518 წელს, სადაც მან ჩამოაყალიბა სასწავლო გაერთიანება. კროტონი ექიმებისთვის მნიშვნელოვანი ქალაქი იყო და ერთ-ერთი ვინც იქ სწავლობდა იყო ალქამეონი.

ალქამეონმა პითაგორასგან ისწავლა პოლარობა რომელიც ასოცირდებოდა იმ 4 ელემენტთან. წყლისთვის პოლარობა იყო - სიმშრალე და სისველე, ცეცხლისთვის - სიცხე და სიცივე, ქარისთვის - სისწრაფე და შენელება, ხოლო მიწისთვის ოპოზიტი იყო სიმძიმე და სიმსუბუქე.

ალქამეონი წარმოგვიდგენს პითაგორას ძირითად პოლარობას, რომელიც არის უკიდურესობა ან დეფიციტი: „ავადმყოფობა“, ის ამბობს, „ მოდის ან ძალიან სიცივისგან ან ძალიან სიცივისგან, ან შიმშილისგან ან გადაზედმეტებული კვებისგან, ჯანმრთელობა არის ყველაფრის პროპორციულად გადანაწილება.“ (პლუტარქე)

ალქამეონი, ექიმი კროტონიდან იყო ხიდი ფილოლაუსსა და მედიცინის დამფუძნებელს ჰიპოკრატეს შორის.

ფილოლაუსი წარმოგვიდგენს სხეულის სითხის მნიშვნელობას ჯანმრთელობისთვის, რომელიც იყო ჰიპოკრატესთვის ამომავალი წერტილი.

სხეულის სითხემ მოგვიანებით ჩამოაყალიბა სისხლის კვარტეტი, სისხლი, ყვითელი ნაღველი, შავი ნაღველი და ფლეგმა.

ფილოლაუსი ამბობს რომ ავადმყოფობა თავს იჩენს ზუსტად ამ ნაღველის, სისხლისა და ფლეგმის გამო. იგი ამბობს რომ სისხლი ავადდება მაშინ, როცა ტანი იკუმშება ან როცა პირიქით, ვენები ფართოვდება და იზრდება. სიტყვა ფლეგმა ნიშნავს წვას, მას შემდეგ ცეცხლოვანი ნივთიერებები ფლეგმასთან კავშირში მოიყვანეს.

თანამედროვე მედიცინა ახერხებს დაავადების ამოცნობას ძალიან ცოტა ან ძალიან ბევრი სისხლის ზეწოლით, ჯირკვლების აქტივობით. გერდა ბოისენისა და ჯონ ოლსენის ნაშრომები ეხება სხეულში არსებული სითხის კავშირს ემოციურ ფონთან.

4 ნაღველის კონცეპტი პირველი ნაბიჯი გახდა იმისაკენ რომ გაგვეგო ადამიანის ტემპერამენტის ტიპები დაკავშირებით იმ ოთხ ელემენტთან.

ა. ქოლერიკი ცეცხლის ელემენტია და მას აქვს ყვითელი ნაღველი

ბ. სანგვინიკის საწყისი არის ჰაერი, და მისი ელემენტია სისხლი.

გ. მელანქოლიკის პატერნი დაფუძნებულია წყალზე, და მისი ელემენტია შავი ნაღველი.

დ. ფლეგმატიკის საწყისია მიწა და მასში არის ფლეგმა.

რაფაელ საბერმანმა შეისწავლა ძველი ჰიპოკრატისეული მასალები სითხეებთან დაკავშირებით და მივიდა დასკვნამდე რომ ყველა პატერნს აქვს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარე.

განვიხილოთ ისინი:

ქოლერიკი . პოზიტიური: აქტიური, ენერგიული, ფეთქებადი.

ნეგატიური: სწრაფი ფეთქებადი ტემპერამენტი, დაჟინებული.

სანგვინიკი. პოზიტიური: ინტელექტუალი, კომუნიკაბელური, ენერგიით სავსე.

ნეგატიური: არაკონცენტრირებული, დიფუზიური, არაეფექტური.

მელანქოლიკი. პოზიტიური: მშვიდი, გაწონასწორებული.

ნეგატიური: აპათიური, სუსტი, მიდრეკილი დეპრესიისკენ.

ფლეგმატიკი. პოზიტიური: მყარი, სანდო, გაწონასწორებული

ნეგატიური: შეუგნებელი, ინდიფერენტული, მძიმე ხასიათის.

ჰანს ეიზენკმა, ბრიტანელი ფსიქოლოგი, რომელიც სწავლობდა პიროვნებას სხვადასხვა სახის ობიექტური ტესტებით, ჩამოაყალიბა პიროვნების თეორია, სადაც ბევრი თანხვედრაა ჰიპოკრატეს ოთხ ტემპერამენტის ტიპთან.

პითაგორა, შეიძლება ითქვას, რომ ძალიან იყო დაინტერესებული ფიზიონომიით, აკვირდებოდა თვალებით კონტაქტის ხარისხსა და ექსპრესიულ მოქმედებებს. დღეს, თანამედროვე ოკუპუნქტიური დიაგნოზის მეშვეობით, გამოცდილი ექსპერტი ინტუიციითაც დაადგენს ადამიანის ტემპერამენტს ტესტის ჩატარების გარეშეც.

ხასიათის ნიშნები და ტიპები

ერთ-ერთი ყველაზე კარგად ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსი არის დემოკრიტე. მასზე დიდი გავლენა მოახდინა ფილოლაუსმა, რომლისგანაც აიღო სწავლების მეთოდები, თუმცა მან ის დახვეწა უფრო ფსიქოლოგიური კუთხით და არა სხეულის მიმართულებით. დემოკრიტე წერს: „ადამიანი სიამოვნებას ღებულობს კარგი ცხოვრებისგან, რაღაცის

ნაკლოვანება და ცხოვრებისეული გარდატეხვები ძალიან ბევრ რამეს ცვლის სულიერ მდგომარეობაში და სული, რომელიც იყინება ერთნაირ მდგომარეობაში დიდი ხნის მანძილზე, არ არის არც სტაბილური და არც დაკმაყოფილებული.

დემოკრიტემ დიდი გავლენა მოახდინა პლატონის მოსწავლე არისტოტელეზე, რომელმაც პირველმა ჩამოაყალიბა პითაგორას სწავლებები.

არისტოტელემ, ნიკომარულ ეთიკაში, ჩამოაყალიბა ხასიათის ნაირსახეობა, რომელსაც დაარქვა - ვირტუები. ყოველი ტიპის ხასიათთან მან ამოიციო რაღაც უტრირებები. რომელსაც მან დაარქვა „ვაისები“.

არისტოტელეს ცხრილი, დეფიციტისა და ექსესების განმარტებით:

ექსესი	მნიშვნელობა	დეფიციტი
მიშვებულობა	ტემპერმენტულობა	უგრძნობლობა
ამპარტავნება	ლიბერალურობა	არალიბერალურობა
ვულგარულობა	მიმზიდველობა	თავმდაბლობა
თავდაჯერებულობა	დიდსულოვნება	არადიდსულოვნება
ამბიციურობა	დიდი ამბიციები	უამბიციო
გალიზიანებადობა	მომთმენობა	მომთენი უუნარობა

Free Article

არისტოტელეს ორი სხვადასხვა ღირებულების მხარეების ახსნა ნათელია ამ ცხრილიდან.

არისტოტელე საკმაოდ ჭკვიანია საიმისოდ, რომ გაიაზროს რომ მნიშვნელობა არ არის ფიქსირებული და რიგიდული ნორმა. არამედ იგი ვარიაბელურია სხვადასხვა ხალხისთვის. იგი ამბობს, რომ მნიშვნელობა „ყველასთვის ერთი და იგივე არ არის“. მას მოაქვს საჭმლის მაგალითი და აღნიშნავს, რომ სხვადასხვა ადამიანს სხვადასხვა რაიმეს მოთხოვნილება აქვს და ის, რომ ვიღაცისთვის რაღაც შეიძლება იყოს ძალიან ბევრი, ვიღაცისთვის კი პირიქით- ცოტა.

პითაგორეანული ფილოსოფიის ოთხი განხრა: თეოზისი, თეორია, პრაქსიზი და თერაპია

ფილოსოფია სიტყვასიტყვით ნიშნავს სიბრძნის სიყვარულს. ჰიპოკრატე მუშაობდა ფიზიოფილიაზე, რაც გულისხმობდა ავადმყოფობის არიდებას, მისგან განკურნვას ბუნების მეშვეობით. პითაგორას ცნებებს ჰქონდა ოთხი განხრა, ჰარმონია, თეორია, თერაპია და პრაქსიზი. ბალანსი იყო ის, რაც შემდეგ გარდაიქმნა თეოზისში. თეორია პირდაპირ ნიშნავს, იმას თუ როგორ ვხედავთ ჩვენ ბუნებას. პრაქსიზმი კი არის ის თუ

როგორ უნდა მოვექცეთ სხვა ჰუმანოიდურ არსებებსა თუ ცხოველებს, იმას რაც არის ბუნებაში. თერაპია კი იყო (არის) გზა იმისა თუ როგორ დავეხმაროთ სხვა ადამიანს, რომელიც აღარ არის ბალანსში საკუთარ თავთან და სამყაროსთან. პითაგორეანელ თერაპისტებს ინსპირაცია ჰქონდათ იმ მასწავლებლებისგან, რომლებმაც ალექსანდრიაში ისწავლეს ბევრი რამ, ასევე ცნობილია, როცა ქრისტე ჩავიდა ეგვიპტეში ის გაიზარდა ალექსანდრიაში და მისი მასწავლებლები ღრმად ასწავლიდნენ ფსიქოთერაპევტულ გზებს.

მუსიკა არის ჩემი თერაპია ბიოსინთეზის პითაგორეანული ფესვები

პითაგორეანელები სწავლობდნენ მუსიკას, ბალანსს აღმავალ და დაღმავალ ნოტებს შორის. პითაგორას მიმდევრები ასევე ზეგავლენის ქვეშ იყვნენ ბუდისტი ასკოას მიერ, რომელიც ბუნებრივ განკურვნის გზებს მიმართავდა სხეულის სხვადასხვა მოძრაობებითა და ცეკვით. ალქამონმა კი ასწავლა მათ ის რომ სხეულის ჯანმრთელობა არის ბალანსი, და კონტრასტი სხვადასხვა მოვლენებს შორის. არქიტასი ამბობს, რომ სხეული ებრძვის ავადმყოფობასა და დეფიციტს, სხეული არის სულის ნაწილი.

პითაგორას მიხედვით, თეონმა ჩამოაყალიბა ტეტრაიდული პრინციპები;

- პირველი ოთხი რიცხვის მნიშვნელობა.
- პირველი ოთხი რიცხვის მულტიპლიკაცია.
- წერტილი,წრფე,ზედაპირი,სიმყარე
- ოთხი ელემენტი: წყალი, მიწა, ჰაერი, ცეცხლი.
- ოთხი ფიგურა: იკოს, ოქტო, პირამიდა, კუბი
- ადამიანი, ოჯახი, სოფელი, ქალაქი.
- სწავლება, შეხედულება, მეცნიერება და შეგრძნება.
- სენსორი,ემოციური, სპირიტუალური, მენტალური.
- რაციონალური, ირაციონალური, ბრძნული, ვიტალური.
- თავი, გული, მუცელი , გენიტალია.
- ინტელიგენცია, სული, სხეული
- სინათლის ნაწილი: თბილი, მშრალი, ნათელი, რბილი.
- სიბნელის ნაწილი: ცივი, სველი, მძიმე, ნელი.

გუთრი: ფსიქიკა იშლება მაშინ, როდესაც სხეულის ერთ-ერთი ნაწილი ეთიშება სხვა დანარჩენებს და ცდილობს წავიდეს თავისი გზით და ამას მიჰყავს დისოციაციებისა და ფრაგმენტაციისკენ და არა პირიქით, ფსიქიკის ერთიანობისკენ.


პლატონი .. „ მოიყვანე სხეულის სამივე ნაწილი ისეთვე ჰარმონიაში, როგორც ნოტებია, ყველაზე მაღალი, დაბალი და მათ შორის საშუალო, რომელიც თანაბრადაა გადანაწილებული. მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანი მოიყვანს ყველა ამ ნაწილს ერთიანობაში სწორად შერჩეულ ტემპში, მხოლოდ მაშინ გახდება იგი ერთიანი ჰარმონიული და გააკეთებს ზუსტად იმას, რისკენაც ილტვის...“

თარჯიმანი: ელენე იმნაიშვილი




Խոսք:

1. **Koestler, Arthur**,
'The Sleepwalkers', London: Penguin Books, 1959
2. **Gorman, Peter**
'Pythagoras: a life', London: Routledge, 1979
3. **Guthrie, Kenneth**
'The Pythagorean Sourcebook and Library', Michigan, Phanes Press, 1987
4. **Barnes, Jonathon**
'Early Greek Philosophy', London: Penguin Books, 1987
5. **Wehowsky, Andreas**
'Development and Discovery', Energy & Character, Vol.28, No. 1+2, 1997
6. **Wilber, Ken**
'Eros, Kosmos, Logos', 1996
7. **Boadella, David and Smith, David**
'Maps of Character' Weymouth, 1977
8. **Aristotle**
'The Ethics', London, Penguin Books.

Free Article



If you wish to receive more information about the reissue of the journal, we invite you to visit our website www.energyandcharacter.com, where you can get information about how and where to buy them.

 www.energyandcharacter.com
 journal@energyandcharacter.com
 +34 680 457 788 - 620 012 111